Vast experience of SB Architects with a wide array of project types, geographic locations, construction techniques and architectural styles gives it a high level of expertise, while its collaborative process and individual approach to each project allow it to be flexible and responsive. Site-sensitive design has been a hallmark of its practice.

SB Architects strives to honor the site with design solutions inspired by the regional vernacular, local materials and the sense of place inherent within each site, and is dedicated to advocating sustainable design and construction methods on all of our projects. All five of SB Architects' principals, and over 30% of its staff, are LEED Accredited Professionals, with a firm-wide goal of 100% accreditation.



საქართველოს პავილიონი შანხაიში - Expo 2010

2010 წლის 1 მაისს ჩინეთში, ქალაქ შანხაიში საზეიმოდ გაიხსნა მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური გამოფენა EXPO. ყოველწლიური გამოფენა, ქვეყნის პოპულარიზაციას, მისი კულტურის წარმოჩენას ისახავს მიზნად, რათა უფრო მეტი ტურისტი მოიზიდონ. ამჯერად იგი ტექნოლოგიების წამდვილ შეჯიბრად იქცა. აღნიშნული გამოფენა ყოველ 5 წელიწადში იმართება და 6 თვის განმავლობაში გრძელდება.

წლევანდელი ექსპო-2010-ის კონცეპციაა „უკეთესი ქალაქი, უკეთესი ცხოვრება“. გამოფენაში 200-მდე ქვეყანა და 50-მდე საერთაშორისო ორგანიზაცია მონაწილეობს. ყოველდღიურად EXPO-ს ასიათასობით დამთვალიერებელი სტუმრობს.

ჩინეთში წარმოდგენილ ქვეყნებს შორის საქართველოც იყო, რომლის გამოფენა ევროპის გაერთიანებულ პავილიონში განთავსდა. ამ შემთხვევაში ძალიან დაგვეხმარა ჩინეთის რესპუბლიკა, რომელმაც განვითარებადი ქვეყნებისთვის ბიუჯეტის სამოცი პროცენტი საკუთარ თავზე აიღო. ჩვენი სტენდი საკმაოდ საინტერესო გამოვიდა და ძალიან ბევრი დამთვალიერებელი ჰყავდა.

საქართველო აღნიშნულ გამოფენაზე 324 კვ. მეტრის სტენდზე არის წარმოდგენილი. ქვეყნის EXPO-ში მონაწილეობის ორგანიზატორი არის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.

საქართველოს სტენდის კონცეპციაზე რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა. პროექტის ავტორი გახლავთ არქიტექტორი გიორგი ხმალაძე. სტენდის დიზაინი მაქსიმალურად წარმოაჩენს ქვეყნის ტურისტულ პოტენციალს, ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას, ბუნების მრავალფეროვნებას. კომპოზიციის დომინანტს წარმოადგენს უზარმაზარი ვაზი, როგორც ჩვენი სიმბოლო, ძირში ქართული ანბანით. პავილიონის ოთხი კუთხე დაყოფილია წელიწადის დროების მიხედვით, სლოგანით – ხედი ჩემი ფანჯრიდან. ზამთარში გუდაური და ჩვენი სამთო-სათხილამურო კურორტებია წარმოდგენილი; ზაფხულში – ზღვის სანაპირო; ერთ კუთხეში თბილისია, კერძოდ კი, შარდენის ქუჩა.

აქ წარმოდგენილი არის საქართველოს მდიდარი მემკვიდრეობის ამსახველი ექსპონატები, ფრაგ-

მენტები უნიკალური ქართული ძეგლებიდან. საქართველოს სტენდი განთავსებულია ევროპის საგამოფენო პავილიონში, სადაც ასევე წარმოდგენილია აზერბაიჯანი, ბულგარეთი, სომხეთი, მაკედონია, მონტენეგრო, ალბანეთი და ევროკავშირის ორგანიზაცია. გამოფენის ფარგლებში, 28 ოქტომბერს გაიმართება საქართველოს ეროვნული დღე.



აქვე გვსურს გაუნყოთ, რომ გიორგი ხმალაძე, წელს გახდა ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტი. ძალზედ სასიხარულოა ის ფაქტი, რომ მალე საქართველოს, მსოფლიო მნიშვნელობის უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული პირველი ქართველი არქიტექტორი ეყოლება.

ფურნალი „სტილის“ სახელით, ვულოცავთ გიორგი ხმალაძეს ამ წარმატებას, ვუსურვებთ დიდ შემოქმედებით მიღწევებს და კეთილდღეობას ახლადშექმნილ ოჯახში.








Expo 2010 Georgia Pavilion - Shanghai

EXPO 2010 was officially opened on 1 May, in Shanghai, China. The exhibition is one of the largest events in the world. It is held in different countries every five years and lasts for 6 months. Theme of the EXPO 2010 is "Better City, Better Life" and signifies Shanghai's new status in the 21st Century as the "next great world city". It is a world expo in the tradition of international fairs and expositions.

More than 190 countries and more than 50 international organizations have registered to participate in the Shanghai World Expo, the largest ever.

Moreover, every Expo also attracts hundreds of thousands of visitors to its abundant performances and specially-designed buildings in addition to the exhibitions.

Georgia was presented among the nations participat-



ing in the Expo 2010. Georgian exhibition was held in European merged pavilion. In this case, China republic has greatly helped us with 60% budget funding for the developing countries. As a result, Georgian stand was very interesting and attracted a lot of visitors.

Georgia is represented on 324 sq. metre stand. Organizer of country's participation in EXPO 2010 is the Department of Tourism and Resorts of Georgia, Ministry of Economic Development. Works on Georgian stand design lasted several months. It represents country's tourism potential, historical-cultural heritage, diversity of nature. The project author is an architect Giorgi Khmaladze.

The dominant element in the composition is the huge grape-vine, as the symbol of Georgia, accompanied with Georgian alphabet. Pavilion's four corners are divided according to four seasons, with the slogan – "VIEW FROM MY WINDOW ". In this section Gudauri and our winter resorts represent season winter. Summer is represented by help of our seaside sites.

We can also see capital city Tbilisi in one of the corners, more exactly the Shardeni Street.

Georgian stand is located in European pavilion. Azerbaijan, Bulgaria, Armenia, Macedonia, Montenegro, Albania and European Union are also presented in the same pavilion.

Within the expo bounds, the Georgian national pavilion day is considered to be October 28.



ლიბერთი ბანკის სათაო ოფისი

21 ივნისს ლიბერთი ბანკმა თავისი კლიენტები-სათვის განახლებული სათაო ოფისი და ცენტრალური ფილიალი გახსნა, რომლის რეკონსტრუქციამ რამდენიმე თვის მანძილზე მიმდინარეობდა.

არქიტექტურული პროექტი ეკუთვნით „დემარკ სტუდიოს“ წარმომამდგენლებს, - (www.dmark.ge). პროექტი შეასრულა კომპანია „ქართულმა სტილმა“.

ინტერიერის თანამედროვე გარემო არ არის მხოლოდ კომფორტული. იგი, განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გამომსატველობით გამოირჩევა და ტრანსფორმირდება რეალობაში. მისი მოქნილი გეგმარება, დახვეწილი, დინამიური ფორმები, ფუნქციურითა და ლამაზი საგნებ-

ით შექმნილი ცალკეული მონაკვეთი თავისებურად შთაბეჭდავია, რადგან მხოლოდ ესთეტიკურის აღქმით არ შემოიფარგლება.

დიზაინში, დეტალები არაორდინალური ნიუანსებით გამოირჩევა და მთლიანობის გამომსატველობითი ხასიათის განმსაზღვრელი ხდება. „მსუბუქი“ ერთიანობაში საერთო ფერიტი გამა დეკორატიული აქსესუარების ტონებითაა აქცენტირებული.

ინტერიერის დიზაინში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კორიანისა და მონტელის პროდუქციამ. ამ მასალისგან ბანკის პირველი და მეორე სართულებისთვის დამზადდა სალაროს დახლები, სამუშაო მაგიდები და მისაღები. გამოყენებული იქნა წითელი და თეთრი ფერის მასალა.



Liberty Bank Headquarters

On June 21 Liberty Bank publicly opened its headquarters, reconstruction of which continued for several months.






Architectural project was designed by architectural studio Dmark (www.dmark.ge) and realized by company "Georgian Style".

Modern interior of new Liberty Bank headquarters is not just comfortable - it charms with a special, uniquely expressive atmosphere. Flexible planning, dynamic shapes, refined furniture and accessories segmenting the place into different zones, make the whole interior even more impressive and meaningful.

The design features original highlights, defining individual character of the interior. Unobtrusive harmony of red-and-white background color palette is animated by bright details.

Important role in interior design was attributed to Coriani and Montelli products. These materials were liberally used to decorate cash offices, working desks and the lobby on ground and first floors.





პირველი პროექტი წარმატებით შედგა


სულ ახლახანს, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში, უნივერსიტეტის რექტორის, ბატონ არჩილ ფრანგიშვილის აპარტამენტების (მისაღები, კაბინეტი, საკონფერენციო და-რბაზი) ინტერიერი განახლდა. პროექტის ავტორები, სრულიად ახალგაზრდა დიზაინერები ეკა ბალავაძე და ნატალია მანჯგალაძე არიან.

მოცემულ სივრცეში, მისი დანიშნულების, პრეზენტაბელურობის მაღალი ხარისხის წარმოჩენად, შესაბამისი „დადებითი განწყობის“ შექმნა იყო საჭირო. ახალი სივრცეების წარმოსახვას, საფუძვლად მნიშვნელოვანი გააჩნდა - უნდა აღდგენილიყო ავეჯი, კერძოდ, მხოლოდ სამუშაო - სანერი მაგიდა, რომელიც უმაღლესი სასწავლების დაარსებებში, რექტორის აპარტამენტების განუყოფელი შემადგენელია. დიზაინერებმა ორიგინალურ გადაწყვეტას მიაგნეს და მალე, არსებული დეტალების შენარჩუნებით, მკაფიო არქიტექტურული გრაფიკით, ფურნიტურის ფორმა-მოცულობების ორიგინალური მონაცვლეობით და ფერითი კონტრასტებით, თავისუფალი სტილის, თანამედროვე ინტერიერები წარმოიქმნა - რეალობა პროექტის იდენტურია.

საზოგადოებრივ სივრცეებში მოულოდნელ დიზაინერულ შტრიხებს, სიმსუბუქე შეაქვთ და მოსახერხებელ გეგმარებას ქმნიან. სტილისტურ მთლიანობაში, თითოეული მონაკვეთის ინდივიდუალურობა და ფუნქციურობა თავისებურად იკვეთება, მათი კონტრასტულობა ინტერიერში უწონადობის შეგრძნებას ბადებს. თავისუფალი ატმოსფეროს შექმნის იდეას, სივრცის ყოველი ელემენტი ექვემდებარება. კონსტრუქციული თუ დეკორატიული დეტალების ერთობლიობა ინტერიერს ვიზუალურად ზრდის და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მასში მუდმივად ცვალებადი რაკურსების არაორდინალურობას, ფერთა სიღრმეს თუ ინტენსიობას. ინტერიერთა დიზაინი დახვეწილი გემოვნების და აპარტამენტების შესაბამისი ინტელექტუალური მდგომარეობის ბუნებრივი ხორცშესხმაა.

მეტად სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა ავტორთა პირველივე, მეტად საპასუხისმგებლო პროექტი წარმატებით შედგა.

ნინო ლალიძე





First Project Successfully Realized







Office of Archil Prangishvili, rector of Tbilisi Technical University, was recently renovated by young designers Eka Balavadze and Natalie Manjgaladze.

Considering its purpose, interior of the office, comprising a lobby, a study and a conference hall, had to be highly presentable though featuring a positive atmosphere. One of the complex tasks the young designers had to solve was renovation of writing desk, which had stood in the rector's office since founding of the University. The designers found an original solution: by combining existing architectural details with clear-cut design strokes, original furniture and color contrasts, they created free-flowing modern interior space.

Unexpected design touches add lightness and comfort to this public space. The unity of constructional and decorative details visually increases the interior and by large determines unusual nature of changeable perspectives, depth and intensity of colors. Design of this interior is the natural manifestation of refined taste and intellectual potential.

NINO LAGHIDZE









პიანოს რომანტიკა

რესტორანი „პიანო“, ცოტა ხნის წინ გაიხსნა ტაბიძის ქუჩაზე, მაგრამ უკვე საკმაოდ პოპულარული და პრესტიჟულია თბილისში. მისი ინტერიერი დიზაინერული ჯგუფის DESIGN-BUREAU-ს (დიზაინერები: ნია მგალობლიშვილი, სოფიო შევარდნაძე, ია ლიპარტელიანი) პროექტით შეიქმნა. ავტორების მიერ გულდასმით იქნა შერჩეული სივრცის ფერითი გამა, კედლების „ლიტერატურული“ დეკორი. ორიგინალური, ეფექტური ფურნიტურა უფრო მეტად „ამძაფრებს“ სივრცის სიმყუდროვეს, ...და რაც ყველაზე ნიშნელოვანია - სხვადასხვა ზომის, ფორმა- მოყვანილობის აბაჟურები და ელექტრო ლამპარები - ისინი, არა მარტო სილამაზითაა გამორჩეული, არამედ გარკვეულ მონაკვეთებზე ფუნქციონალურიცაა. სწორედ მათი საშუალებებითაა ზონირებული სივრცე. დიზაინერული თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „მრავალფეხება“ ბარის დიზაინი. რომანტიკული „პიანო“ თბილისელებისთვის, გასართობად და დასასვენებლად, ერთ-ერთი სასურველი ადგილია.





Piano Romance

Restaurant "Piano", recently opened in Tabidze Street, quickly became a popular and fashionable spot. Its interior is designed by Designbureau Group (designers Nia Mgaloblishvili, Sophie Shevardnadze and Ia Liparteliani). The authors focused their efforts on combining interior colors, creating "literary" decor of the walls and matching efficient furniture in order to create an especially comfortable space. Most interesting are original and highly practical light fixtures, serving both as decorations and zone markers. Still another design highlight is a multi-legged bar stand.

Restaurant "Piano", with its romantic atmosphere, is the best place for leisure and entertainment.





სტილისტური მთლიანობა

დედაქალაქში, უზნაძის ქუჩაზე მდებარე რესტორნის, „მირზაანის“ ინტერიერი დიზაინერ ნათია კარიაულისა და არქიტექტორ გიორგი ხიზანიშვილის პროექტით შესრულდა. საზოგადოებრივი სივრცის ინტერიერის მოცულობითი გადაწყვეტა, გამოყენებული გამომატველობითი საშუალებებით, შეკრული, პლასტიური და მასშტაბურია. მას აბსოლუტურად განსაზღვრული ფუნქცია აკისრია. ორიგინალური დეტალებისა და ლაკონური ფერითი ჩა-

ნართების გამოყენება, ავტორთა დახვეწილ გემოვნებაზე მიუთითებს.

სისადავე და მონუმენტურობა, ტრადიციული ფორმები და მკაცრი დეკორი, თავისუფლება და პარადულობა, როგორც ჩანს ავტორთა კონცეპტუალური კრეალობა. მათი ძალისხმევით წინა პლანზე წამოწეული „გამომხატველობითი არქიტექტურული ფიგურის“ კონცეპცია.

ინტერიერში ტრადიციები თანამედროვე მენტა-

ლიტეტითაა ადაპტირებული და მის ესთეტიკას პასუხობს. სივრცის დასრულებული სახით ჩამოყალიბებისას თითოეულ დეტალსა და ნიუანსს დიდი მნიშვნელობა მიენიჭა. ყოველი მონაკვეთი ერთიანად წარმომადგენლობითია. შემოქმედებითა თავისუფლებამ შესაძლებელი გახადა მიღწეულიყო სივრცის სტილისტური მთლიანობა და სრული შესაბამისობა „ცხოვრების“ წესთან.

ნინო ლალიძე

The unity of style

The authors of Mirzaani Restaurant's interior (in Uznadze street, in Tbilisi) are designer Natia Kariauli and architect Giorgi khizanishvili. Spatial solution of this public interior is integral, flexible and massive; use of original architectural details and restrained color accents manifests the refined taste of the authors and highlights the specific function of the establishment.

The authors' conceptual credo is revealed in simple and imposing forms, austere décor, combination of freedom with

formality. Their efforts have brought to the fore the concept of expressive architectural form.

In this case, aesthetics is so well subjected to pragmatism that one would have difficulty attributing primary importance to any of them.

The authors have adapted traditions to modern mentality, at the same time following the aesthetic cannons of classical style and making the design relevant to the system. Each

detail has been carefully considered in development of this interior.

Special feature of this project is that the space is divided into several functional groups without disrupting the integrity of décor, so that every part of interior looks equally imposing. Creative freedom made it possible to retain the unity of style, fully corresponding to the "lifestyle" of the building.

NINO LAGHIDZE




დიზაინის მრავალფეროვნება

წარმოგადგენთ არქიტექტორ მარია ქურთიშვილის დიზაინით, განხორციელებულ ნამუშევარს - რესტორან „ბაბილოს“ ინტერიერს. აქ, ფუნქციურად ორგანიზებული, ულამაზესი დიზაინის მრავალფეროვნება, სრულყოფილი ფორმების უმაღლესი ხარისხი, გასაზღვრულ და დამაჯერებელ ორგანიზმში ერთმანეთთანაა შერწყმული. განათება, ფერი, აქსესუარები, პროპორციები, მოძრავი გრაფიკა - მათი ერთობლიობით წარმოქმნილი არაორდინალური სივრცეები, ყოველ მოცემულ შემთხვევაში ტექნოლოგიური სიახლეების საშუალებებით გამოგონილ სტრუქტურაზე გაცილებით მნიშვნელოვანია.

ინტერიერის, პრაქტიკულად, მშვიდ და რესპექტაბელურ გარემოში, სადაც დეტალების სიჭარბით ქაოსი არ იქმნება, ყოველი ელემენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სივრცე ერთ მთლიანობად აღიქმება და არა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ თანამედროვე კლასიკური ფორმები და დახვეწილი ფერითი გამა დომინირებს. ზუსტად შერჩეული მოსაპირკეთებელი მასალა, ლამაზი ტექსტურა და თბილი ტონალობა, ფურნიტურა სივრცის წარმომადგენლობითობას არბილებს. მთავარია კი ის არის, რომ აქ, თითქმის ყოველთვის რთული დიალოგი ახლადშექმნილსა და არსებულს შორის წარმატებით შედგა.

ნინო ლალიძე





Diverse Design

This article refers to "Babilo" restaurant, recently created by architect Marika Kurtishvili. In this space, diversity of functionally organized, highly refined and diverse design and utmost efficiency of forms are merged into a credibly integral space. Lighting, coloring, choice of accessories, proportions, flexible graphics – unordinary composition, formed by combination of these elements, is much more meaningful than an artificial high-tech structure would be in its place.

Quiet and respectable look of the interior, where there are no distracting details, allocates a special function to every detail. The space is perceived as an entity – not just because of classical forms and refined color solution. Carefully chosen finishing materials, textures and warm tonalities of the furniture accentuate the imposing character of the atmosphere. And the main point is that the complex dialogue between newly-created and existing elements in this interior has been quite successful.

NINO LAGHIDZE


დიზელი თბილისში


„დიზელი“ შოურუმის ინტერიერი თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, დიზაინერების - ნია მგალობლიშვილის, სოფიო შევარდნაძის და ია ლიპარტელიანის (ჯგუფი Designbureau) პროექტით შესრულდა.

მოცემულ ინტერიერში წარმოდგენილი აქტუალური „ექსპოზიციის“ წარმოსაჩენად, პირველ რიგში, შეიქმნა ბრენდის შესაბამისი ანტურაჟი - ხასიათი, რომლის ზეგავლენით სივრცე თავისი კანონებით იწყებს ცხოვრებას. დიზაინი, აქ, ფონია „დიზელის“ პროდუქციითვის. დიზაინერების ჩანაფიქრით, „ბეღელთაჟიანი“ კედლები, მომცრო „როდონები“, ნეიტრალური მუქი ლურჯი - ჯინსის ფერი, სადა კონსტრუქციული გადაწყვეტების და ფუნქციურობის შერწყმა, უფრო მეტად წარმოაჩენს „დიზელის“ მოდურ კოლექციას. თანამედროვე სალონის ერგონომიკა მარტივად, ეფექტური დიზაინერული ხერხებით კი არ არის გადაწყვეტილი, არამედ იგი, თითქოს ერთგული მომხმარებლის გამოცდილებებითაა გაჯერებული. აქ ყოველივე დაწყებული განათების დიზაინითა და დამთავრებული, გამიჯნული ზონებით - „პროფესიონალისთვისაა“ განკუთვნილი, რომლსაც, თავად სივრცე აძლევს მშვიდი და კომფორტული არჩევანის შესაძლებლობას.

ნინო ლალიძე

ფოტო: ირაკლი გლუიშვილი





DIESEL


in Tbilisi




The interior of "Diesel" showroom, located in Vaja-Pshavela Avenue, Tbilisi, is designed by Nia Mgaloblishvili, Sophie Shevardnadze and Ia Liparteliani (Designbureau Group).

Showroom interior design matches the character of the brand and turns the place into an island of alternative reality. The design is a background to "Diesel" products. Two-tier walls, prevailing blue color, simple construction solutions and stressed functionality flatter the fashionable collection of denim, displayed in the showroom. Ergonomic conception of a modern salon is not so much developed by application of efficient design tools, but rather based on the experiences of happy consumers. Every detail in this interior design, starting with light fixtures and ending with fitting-rooms, is intended for connoisseurs, understanding the value of leisurely and comfortable choice.

NINO LAGHIDZE

PHOTO BY IRAKLI BLUISHVILI







ბრენდული კრეატიულობა

საბავშვო ტანსაცმლის ბუტიკი VINGINO თბილისში (ყაზბეგის გამზირზე), ახლახანს გაიხსნა. პროექტის ავტორები, ახალგაზრდა დიზაინერები - ნია მგალობლიშვილი, სოფიო შევარდნაძე და ია ლიპარტელიანი არიან (ჯგუფი Designbureau).

VINGINO წმინდა ბრენდული კრეატიულობითაა შესრულებული. ინტერიერი ხის ლობით შემოსაზღვრულ პატარა საბავშვო მოედანს წააგავს, სადაც სათამაშო კონსტრუქციებში - ხის მართკუთხა „თაღებში“, დიდ, ხის კვადრებზე ულამაზესი სამოსია გადანაწილებული. ნატიფი დეკორი და ფურნიტურა საავტორო დიზაინს წარმოადგენს. ჰაერით გაჯერებულ, ნათელ სივრცეს, კიდევ უფრო ზრდის კვადრატებით შემოორაგული სარკის ეკრანი. ტრადიციული საკიდების ნაცვლად კედლებთან დიდი და მსუბუქი ჩარჩოებია. მათში მოქცეულ „ნახატებში“ კი მეტად მოსახერხებელია ტანსაცმლის დათვალიერება და არჩევა, ბავშვებსთვისაც და უფროსებისთვისაც.

ნინო ლალიძა
ფოტო: ირაკლი ბლუიშვილი




Brand Creativity

Kids' clothes boutique "Vingino" was recently opened in Kazbegi Avenue, Tbilisi.

Interior of the shop was created by young designers Nia Mgaloblishvili, Sophie Shevardnadze and Ia Liparteliani (Designbureau Group).

"Vingino" interior is a result of professionally creative approach. The shop rather reminds of a playground, protected by a wooden fence and containing cubical stands, featuring especially interesting goods. Interior space, filled with light and air, is visually expanded by a huge mirror screen and decorated with exquisite furniture. Unconventional display of goods inside large frames, attached to the walls, turns every article of clothing into a fun drawing, turning the process of shopping into a very easy and pleasurable pastime.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY IRAKLI BLUISHVILI





შოუ რუმი Guess

თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, Guess-ის ცნობილი ბრენდის შოუ რუმი გაიხსნა.

წარმოდგენილი ობიექტის ინტერიერული გარემოს თავისუფალი სივრცე ინდივიდუალურია და განსაზღვრული ფუნქცია გააჩნია. წინა პლანზე წამოწეული გამომხატველობითი არქიტექტურული ფიგურის კონცეფცია ესთეტიკურ ილუზიებთან ერთად უფრო ღრმა, დამოუკიდებელ აზრს და მნიშვნელობას მოიცავს.

ინტერიერის მიკროგარემო სხვადასხვა ემოციური დატვირთვით აღიქმება, კონკრეტულ მიზანს ექვემდებარება, მაგრამ ამავე დროს სივრცის საერთო ნეობასთანაა შეთავსებული. ესთეტიკური, ნატიფი ფორმის მნიშვნელობა მის რეალურობაშია განსორციელებული. დახვეწილმა სტილმა და გემოვნებამ სრულიად განსაზღვრა ინტერიერის სტილისტური მთლიანობა და Guess-ის ცხოვრების წესთან შესაბამისობა.

ენიო ლალიძე





Showroom Guess

Recently, presentation of showroom Guess took place in Chavchavadze ave., Tbilisi.

The showroom interior is a free-flowing space with distinct individuality and a precisely defined function. Simplicity, uninhibited planning and dynamism. The conception of expressive architectural image, forming the foreground of the design, is strengthened by aesthetic associations and deep connotations.

The interior consists of independent volumes bear-

ing different emotional charges depending on their functional specifics but efficiently merging into the general structure of the space. The importance of aesthetically valuable, refined forms is accentuated by the quality of their implementation. Highly professional and tasteful design style gave successful finishing touches to the interior of Guess and integrated it into the surrounding life.

NINO LAGHIDZE




დიზაინერული კოლაჟი ინტერიერში

თანამედროვე საცხოვრებელი ინტერიერი, მისი დიზაინი და არქიტექტორის მიერ მასში წარმოქმნილი, თემატური სცენარით შექმნილი ატმოსფერო, რთული, შრომატევადი, შემოქმედებითი გზის შედეგია.

არქიტექტორ მერაბ გუჯაბიძის პროექტით შექმნილი, საცხოვრებელი დუბლექსის ყოფითი გარემო, მისი შემადგენელი მობილური ელემენტების ურთიერთპარამონიულობით, ერთი მთლიანი, ცოცხალი ორგანიზმია. გახსნილი სივრცე ერთიანად აღიქმება, თუმცა მასში ყოველი ცალკეული ელემენტი ერთგვარად მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელია. მათი ლავირება შეუჩნეველი ნიუანსებით წარმოებს. ინტერიერის თითოეული ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური სიბრტყე თამამი, არაორდინალური დეკორაციაა, დიზაინერული კოლაჟია. მათი კომპოზიციური წყობა, ტონალობა, ფურნიტურასთან, აქსესუარებთან სინქრონი, სრულყოფილების შეგრძნებას ბადებს.

ენო ლალიძე






Design Collage of Interior

Creation of Residential interior design with a thematic atmosphere and distinctive individuality is a complex, meticulous task, requiring a great deal of professionalism.

Residential space of duplex-apartment designed by architect Merab Gujabidze, represents an integral, live organism, consisting of harmoniously matched mobile units. The open space is perceived as a unity, nonetheless consisting of self-important and original elements, integrated by a carefully considered and unobtrusive structure of minor details. Each horizontal or vertical surface of the interior is an unordinary decoration, a part of design collage. Their compositional structure, tonality, matching with furniture and accessories evoke the feeling of perfection.

NINO LAGHIDZE



ორი ბინის ისტორია

დიზაინერი ილია ზაქარია





წარმოდგენილი საცხოვრებელი ინტერიერები (თბილისში, დიღმის მასივში და რჩეული შვილის ქუჩაზე არსებული მრავალსართულიანი ტიპიური საცხოვრებელი სახლების ბინები), მალე, არქიტექტორ-დიზაინერის, ილია ზაქარიას (არქიტექტურულ-დიზაინერული ჯგუფი „კუბი“) პროექტით გარდაიქმნება და სრულიად განსხვავებულ, მათი მფლობელებისთვის სასურველ სახეს მიიღებს. მოგესვენებათ ინტერიერზე მუშაობისას, იდეის განხორციელების პროცესში, შედეგი, ხშირ შემთხვევაში, განსხვავდება სანაფიქრისაგან, მაგრამ მოცემულ შემთხვევებში, შედეგა შექმნილი რენდერული ვარიანტების იდენტური საცხოვრებლების რეალიზაცია და მაქსიმალურად გამოვლინდა ავტორის გემოვნება.

თითოეულ, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ სივრცეებში, ფუნქციურად ორგანიზებული, სრულყოფილი ფორმების უმაღლესი ხარისხი გასაზღვრულ და დამაჯერებელ ორგანიზმში ერთმანეთთანაა შერწყმული. განათება, ფერი, აქსესუარები, პროპორციები, მოძრავი გრაფიკა - მათი ერთობლიობით წარმოქმნილი არაორდინალურობანი, ყოველ მოცემულ შემთხვევაში, მოულოდნელ რაკურსებს ქმნიან.

ინტერიერთა მშვიდ და რესპექტაბელურ გარემოში ყოველი ელემენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ხილული თუ უხილავი ბარიერებით შექმნილი მსუბუქი სივრცეები, ორივე საცხოვრებელში, სრულიად სხვადასხვაგვარად, თუმცა, ერთ მილიანობად აღიქმება და არა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ თანამედროვე ფორმები და დახვეწილი ფერითი გამა დომინირებს. ზუსტად შერჩეული მოსაპირკეთებელი მასალა, ლამაზი ტექსტურა და თბილი ტონალობა, ფურნიტურა სივრცის წარმომადგენლობითობას არბილებს და დეკორის თვალშისაცემი ესთეტიზმი ნათლად წარმოაჩენს ინტერიერის თვითმყობადობას.

ადვილი წარმოსადგენია, რა სასიამოვნო იქნება ადამიანებისთვის განახლებულ, კომფორტულ და მყუდრო საცხოვრებლებში ურთიერთობა, ცხოვრება და საქმიანობა.







History of two apartment



DESIGNER ILIA ZAKARAIA




This residential interiors (in "Digmis Masivi" and in Rcheulishvili street in Tbilisi) was designed by the architect-designer of Cube Studio (Architectural Design Group) Ilia Zakaraia.

Realization stage of interiors design often yields certain deviations from the initial sketches. However in this particular case the interiors created by architect, is absolutely identical to its render version, revealing the author's best taste.

The beauty of this designs exceeds aesthetic perception, developing on different planes and breathing a life of its own. Diversity of this beautiful, well-organized space and top quality of its refined forms are merged into a credible organism. Lighting, colors, accessories, proportions, mobile graphics - their integrity naturally forms unordinary spaces devoid of excess sophistication.

In the peaceful and respectable environment every element gains special importance. The light space interrupted by visible and imaginary barriers is perceived as an entity not only due to dominance of classic forms and refined colors, but also because of precisely matched finishing materials, fine textures, warm tonalities and furniture. Textures and colors of finishing materials, the apparent aestheticism of the décor serve to highlight the originality of exterior and interiors design, as well as professionalism of its author.








კომფორტი და სიმყუდროვე

წარმოდგენილი ინტერიერის (თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი) ავტორი, დიზაინერი ნათია კარიაული გახლავთ. მან, სახლის მფლობელის გემოვნებისა და სურვილების გათვალისწინებით, საკუთარ პროფესიონალიზმზე დაყრდნობით, მკაფიო არქიტექტურული გრაფიკით, ფურნიტურის ფორმა-მოცულობების ორიგინალური მონაცვლეობით და ფერითი კონტრასტებით, თანამედროვე ინტერიერი შექმნა.

საცხოვრებელ სივრცეში წარმოქმნილ მოულოდნელ დიზაინერულ შტრიხებს, სიმსუბუქე შეაქვთ და მოსახერხებელ გეგმარებას ქმნიან. სტილისტურ მთლიანობაში, თითოეული სათავსოს ინდივიდუალურობა და ფუნქციურობა თავისებურად იკვეთება, მათი კონტრასტულობა ინტერიერში უწონადობის შეგრძნებას ბადებს. თავისუფალი ატმოსფეროს შექმნის იდეას სივრცის ყოველი ელემენტი ექვემდებარება. კონსტრუქციული თუ დეკორატიული დეტალების ერთობლიობა ინტერიერს ვიზუალურად ზრდის, ხაზს უსვამს ფორმას, განსაზღვრავს მასში ფერის სიღრმეს და ინტენსიობას.

საცხოვრებელში, ავტორმა, აუცილებელი კომფორტი და სიმყუდროვე შექმნა. ინტერიერის დიზაინი, მის ბინადართა გემოვნების ბუნებრივი ხორცშესხმა.

ნინო ლალიძე





Comfort and convenience

House owners, giving preference to this or that particular design style, actually choose an atmosphere, in which they will exist for a certain amount of time and which will have its influence on their lives.

The author of this interior (Apartment in Vaja-Pshavela ave. in Tbilisi) is designer Natia Kariauli. Considering the taste and expectations of the house owner, they created a refined modern interior space with clear architectural graphics, original furniture and skillful color contrasts.

Unexpected design touches add lightness to the residential space and increase the efficiency of its planning. In the stylistic integrity, individuality and functional specificity of each room stand out. All elements of the space serve to highlight the feeling of freedom, visually increase the space, accentuate its form, define the depth and intensity of colors.


Creating this interior, author endowed it with comfort and originality, which would not look natural in any other place. In other words, the design represents an incarnation of the inhabitants' taste and social position.

NINO LAGHIDZE





კომფორტის ესთეტიკა



მოგესხენებათ ინტერიერზე მუშაობისას, შედეგი, სწორ შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც განსხვავდება სანყისი ჩანაფიქრისაგან, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში არქიტექტორ ალექო კორკოტაშვილის იდეის იდენტური საცხოვრებელი სივრცის რეალიზაცია შედგა - მაქსიმალურად გამოვლინდა ავტორის პროფესიონალიზმი.

საცხოვრებლის ინტერიერის ჩამოყალიბება-გაფორმების ძირითადი იდეა დიზაინერული სვლის განუმეორებლად, ფუნქციურად სხვადასხვა ზონების ეფექტურ გადანაწილებაში მდგომარეობს. თავისი არქიტექტონოკით თვითმყოფადი, დამოუკიდებელი სათავსოები საცხოვრებელი მთლიანობის კომფორტს, სიმყუდროვეს განაპირობებს. აქ მოხვედრისას, სტუმარს მასპინძლეთან საკუთარი „მერკანტილური“ საკითხების გარკვევამდე, ამაღლებული, თბილი განწყობა ეუფლება, რაც კვლავ აქ მოსვლის სურვილს ბადებს.

ინტერიერში თითოეულ ნიუანსს ის ადგილი აქვს მიჩენილი, საიდანაც იგი საუკეთესო სახით აღიქმება. ფორმასთან, ფაქტურასთან, ფერთან დამოკიდებულება, დიზაინერის შემოქმედებით პრინციპებს გამოავლენს და არაორდინალურია. მთლიანობაში, კი ავტორის ორიგინალური და საინტერესო მიგნებები ერთ ამოცანას ემსახურება - შეიქმნა საცხოვრებელი გარემო - მშვიდი, ესთეტიკური ყოფი-სა და მაღალი კომფორტის გარანტი - კონკრეტული ოჯახისათვის.


ნინო ლალიძე

Comfort of aesthetics

Realization stage of interior design often yields certain deviations from the initial sketches. However in this particular case the interior created by architect Aleko Korkotashvili, is absolutely identical to its render version, revealing the author's professionalism at its best.



The key highlight of this residential interior is efficient development of design theme from zone to zone. The spaces with their original architectonics integrate into an utterly comfortable living environment. A visitor entering this apartment perceives its positive, pacifying atmosphere from the very first step and feels an urge to visit the place again and again.





Every detail in the interior is positioned so as to stand out with most efficiency. Approach toward shapes, textures and colours clearly expresses the designer's artistic principles and perfect taste. On the whole, the author's interesting and original solutions aim to achieve one and only goal – to create a living environment, guaranteeing comfortable and tasteful life to one particular family.

NINO LAGHIDZE





გაყინული მომენტები: არქიტექტურა გვპასუხობს

მოდერნიზმი - საქართველოში, შენობების იდეოლოგიის შეცვლა მათი ფუნქციის ცვლილების დროს და კერძოდ, არქიტექტორ გიორგი ჩახავას უტოპისტური ნაგებობის ღირებულება თანამედროვე არქიტექტურის კონტექსტში - ამ საკითხებს მოიცავდა ლორა პალმერის ფონდის, ჯეოეარ საქართველოსა და The Other Space Foundation-ის პროექტი, სახელწოდებით - "გაყინული მომენტები: არქიტექტურა გვპასუხობს", რომელსაც 22-25 ივლისს საავტომობილო გზების ყოფილი სამინისტრომ უმასპინძლა. სამი დღის მანძილზე დაგეგმილი საუბრები, დისკუსიები, პრეფორმანსები და კონცერტები ორი მთავარი თემის გაშუქვით გაერთიანდა: უტოპიური აზროვნება არქიტექტურაში და მოდერნიზმი.

22-25 ივლისი, 2010, თბილისი, საქართველო
საჯარო გახსნა: ხელოვნება, არქიტექტურა, საუბრები, კონცერტები, ექსკურსიები და სხვა.

ხელოვნები, აკადემიკოსები, არქიტექტორები, კურატორები, ეკონომისტები და თბილისის მაცხოვრებლები კონტექსტუალურ საზაფხულო ხელოვნების პროექტში ყოფილი საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის გზების დეპარტამენტის სამინისტროსა და საქართველოს ბანკის მომავალი

რვორტი და მელინდა ბრათენი, ვლადიმერ ვოლნოვიკი, ალექსანდრა ვასილოვსკა, მარტინ ზეტი.

კავკასია საუბრობს გაყინული მომენტებით. კომუნისტური რეჟიმი დაინგრა და მატარებლები გზად გაჩერდა, თბილისის თავზე მიტოვებული საბაგირო მანქანები დაეკიდა, ხოლო გიუმრის განუხორციელებელი მომავლის უძრავმა ქონებამ დროებითი მაცხოვრებლები შეიფარა. საბჭოთა არქიტექტურულმა მემკვიდრეობამ რეგიონში მრავალჯერადად გამოყენების, შემოქმედებითი მეურნეობისა, მდგრადი და თვითორგანიზებადი პოლიტიკური კურსის ნაადრევი პოტენციალი გამოავლინა, რაც პარალელურად დღევანდელ კულტურულ დისკურსშიც ჩნდება.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ყოფილი გზების სამინისტრო, აშენებული 1975 წელს გიორგი ჩახავასა (1923-2007) და ზურაბ ჯალაღანიას მიერ, ერთ-ერთი ყველაზე განსაცვიფრებელი შენობაა მსოფლიოში. რეალიზებული უტოპიის (a utopia realizable) მაგალითი გაზრდილი რეალობის ნაყოფია, რომელშიც კომუნისტური მომავლის სახე ორგანულ, პალიმფსესტურ არქიტექტურასა და განგრძობად, არასპეციალისტის მიერ დაგეგმილ გარემოს ერწყმის. საავტომობილო



სათაო ოფისის შუალედურ დროის მონაკვეთში:

ვაპრაშვილმა აღასანიანი, აირინი ანასტასი, ეი არაკავა, მარი მუკაი, გელა პატაშური, სერგეი ჩერეპინი, რუბენ არევშატიანი, ბეტინა ატალა, დანიელ ბაუმანი, ალენა ბოიკა, რენე გაბრი, ჯგუფი ბულიონი, დანიელ ბირკენმაიერი, გიორგი ჩახავა, იოსებ დაბერნიგი, კოტე ჯინჭარაძე, დიდი ფიუზა ფაუსტინო და მეთიუ ჰერბელინი, მესარქიტექტურა, იონა ფრიდმანი, უილიამ ჰოლისტერი, ზურაბ ჯალაღანია, ნანა ყიფიანი, ევა ხაჩატრიანი, აგნეშკა კურანტი, ვიკი ლეე და ნექსთ დრიშჩეკერ, ექსიდენტალ ლოვერ ბოიზ, ნიკოლოზი, ნინო ფალავანდიშვილი, ლალი პერტენავა, რიჩარდ რეინოლდსი, გეორგ შიოლაშაერი, სლავს ენდ თათარს, სოფია ტაბატაძე, ნინე ტერეშკოვა და რობ ჰემელინი, ვაკინგუდარტ, ვატო წერეთელი, ურბანული კვლევის ლაბორატორია: გიო სუმბაძე, ანი ჩორგოლაშვილი და რეზო ლლონტი, გრეგ ლინქვისტი, თამუნა ქარუმიძე, ნელი ზედგენიძე და კოკა რამიშვილი; ურბან რეაქტორი, იან ვე-

გზების სამინისტრო 1975 წელს აშენდა იმდროინდელი მინისტრის, არქიტექტორ გიორგი ჩახავას მიერ.

პროექტის "გაყინული მომენტები: არქიტექტურა გვპასუხობს" ერთ-ერთი ორგანიზატორი და კურატორი ნინო ფალავანდიშვილი ამბობს, რომ ასეთი ტიპის შენობის საქართველოსა და ყოფილ საბჭოთა სივრცეში, არამედ, საერთოდ, არქიტექტურულ სივრცეში ძალიან ცოტაა, - „ეს შენობა პომპიდუს ცენტრის, ბერლინის, ლუდვიგ მის ვან დერ როეს მიერ აშენებული, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის, ოსკარ ნიმიერის ბრაზილიის შენობების გვერდზე, მათთან ერთად არის მოხსენებული. ჩვენ კი ეს არ ვიცით“.

საქართველოში ამ შენობას გვიანდელ მოდერნიზმს მიაკუთვნებენ. 70-იან წლებში, მშენებლობის პროცესში, მოსკოვიდან მოულოდნელად მოსულმა ბრძანებამ პროექტი შეაჩერა. როგორც ნინო ფალავანდიშვილი ამბობს, არქიტექტორმა თავისი ნამუშევრის დაცვა მოახერხა და საქმე ბო-

ლომდე მიიყვანა, - "გიორგი ჩახავას იდეა აბსოლუტურად უტოპიური იყო. ქართული და საბჭოთა არქიტექტურის გარემოში ეს ნაგებობა არანაირად არ ენერგობდა. ქართულ და რუსულ პრესაში მას გამოხმაურებაც არ მოჰყოლია. ვერ აღიქვეს, თუ რამდენად საინტერესო და ახლებური იყო არქიტექტორის აზროვნება. ჩახავას მთავარი იდეა ბუნებასთან ახლოს ყოფნაში მდგომარეობდა. მისი სურვილი არქიტექტურაში ბუნების მიერ ნაკარნახევი პირობების გამოყენება იყო, ამიტომაც მისცა შენობას ტერასული და ერთმანეთზე გადაკვეთილი კონსტრუქცია, ჩახავას უნდოდა, შეძლებისდაგვარად ნაკლები ადგილი და-



ქციოდ დარჩენილ, ე.წ. გაყინულ ნაგებობებთან ერთად გლდანის ნაგავსაყრელიც მოინახულეს. 70-იან წლებში სწორედ იქ გადაიტანეს ნაგავსაყრელი, რომელიც თავის დროზე საავტომობილო გზების სამინისტროს შენობის ადგილზე მდებარეობდა.

ყოფილი სამინისტროს შენობა არა მხოლოდ პროექტის მასპინძელი, არამედ მთავარი პერსონაჟიც იყო. მან იმ საკვლევე ტექსტის ფუნქცია შეასრულა, რომელიც საკუთარ თავში ახალ ტექსტებს შექმნის და განავითარებს. არტისტებმა და თეორეტიკოსებმა შენობის ისტორიის, მდებარეობის, ირგვლივ არსებული მწვანე საფარის შესწავლის შედეგად, პერფორმანსები და მოხსენებები, სწორედ ჩახავას ნამუშევრის გარშემო ააგეს.

ამოსავალი წერტილი გაყინული იმიჯების პოეზია იყო, მისი წარსული და მომავალი მნიშვნელობების ჩვეული პოტენციალი - უფრო მეტი, ვიდრე მოდერნიზმის მემკვიდრეობა; მოძრავი და მოსიერე ქალაქი, ჩართვითი კონცეპტები, "უკან მომავლისაკენ" კურსი და ბევრი სხვა.

"ჯეოეარი ნაკლებად ცდილობს მუზეუმების და გალერეების ინსტიტუციონალურ სივრცეებში დამკვიდრებას. გვიანდა, სხვა შენობები გავაცოცხლოთ, გარეთ გავიდეთ და საზოგადოებრივ ადგილებში ვიტრიალოთ", - ამბობს ნინო ფალავანდიშვილი. თუმცა, საგამოფენოდ ყოფილი სამინისტროს შერჩევის ინიციატივა ამჯერად პოლონელ კურატორს, ჯოანა ვარშას ეკუთვნის, რომელმაც შარშან თბილისში "ბეთლემის პროექტი" განახორციელა - გამოფენებისა და წარმოდგენების ციკლი ქალაქის ძველი უბნის სხვადასხვა ადგილებში. პოლონურმა მხარემ წლევანდე-



მწარმოებლები: აზერ სფეის ფონდი (The Other Space Foundation) და ლაურა პალმერის ფონდი ვარშავა (Laura Palmer Foundation Warsaw)
პარტნიორები: ჯეოეარ საქართველო (GeoAIR). აიკა სომხეთი (AICA), უძრავი ქონების ეკონომიკისა და პროექტის მენეჯმენტის ინსტიტუტი, ბიბერახი, გერმანია



ეკავებინა მიწაზე და მშენებლობა ჰორიზონტალურად, ჰაერში განეფითარებინა. ამიტომ მისი აზროვნება, გარკვეული თვალსაზრისით, ძალიან ფუტურისტული და, ამავდროულად, უტიპიურიც არის - სადამდე უნდა გაზარდო, სადამდე უნდა ახვიდე ცაში ასეთი ნაგებობით?"

კავკასიელი და საერთაშორისო ხელოვანების, არქიტექტორების, კურატორების, აკადემიკოსების და თბილისის საზოგადოების 3-დღიანმა რეზიდენციამ წარმოადგინა მდიდარი და მომზიბლავი კვლევითი და დასასვენებელი სესიები ამ ჰეტეროთემატური ადგილის შესახებ. პროგრამაში შედიოდა საუბრები, სახელოსნო სესიები, ხელოვანთა და არქიტექტორთა ინტერვენციები, კონცერტები, ექსკურსიები და საღამოები სახურავზე.

მონაწილე არტისტების, მუსიკოსების, თეორეტიკოსების, კრიტიკოსებისა და არქიტექტორებისათვის პროექტი სპეციალური ექსკურსიებიც იქნა გათვალისწინებული. მათ, თბილისში არსებულ უფუნ-

ლი პროექტის საორგანიზაციო ნაწილთან ერთად მისი დაფინანსებასაც უზრუნველყო

ივლისის 3 დღის განმავლობაში ეს ფანტასტიური შენობა გარდაიქცა ჰორიზონტალური თანამშრომლობის დიაგრამად, რომელშიც ერთი სპონტანური ქმედებაც კი მთელ პროექტს რადიკალურად ცვლიდა. ეს იყო ერთადერთი შესაძლებლობა, რომ საქართველოს ბანკის სათაო ოფისის სარემონტო სამუშაოების დაწყებამდე, შენობა საჯაროდ გაიხსნა.

პროექტის საინიციატივო ჯგუფი: ვაჰრამ ალასიანი, დანიელ ბირკენმაიერი, ვიტეკ ჰებანოვსკი, ევა ხაჩატრიანი, ნინო ფალავანდიშვილი და ჯოანა ვარშა

საუბრების კურატორი: ევა ხაჩატრიანი

დიზაინერი: კაშა კორუაჯი

მწარმოებლები და კოორდინატორები: ვიტეკ ჰებანოვსკი, ჯულია მისალა, გელა პატაშური და ლალი პერტენავა

სპონსორები: პოლონეთის რესპუბლიკის კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის სამინისტრო (MKiDN) და ქალაქი ვარშავა, ქალაქ თბილისთან და ფესტივალ ტრანსკავკასიასთან თანამშრომლობით, ევროპის კავშირის კულტურის პროგრამის მხარდაჭერით
მთავარი პარტნიორი: საქართველოს ბანკი.

ყოფილი სამინისტროს დღევანდელი პატრონი საქართველოს ბანკია. მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, იქ ბანკის სათაო ოფისი დაიდებს ბინას. გიორგი ჩახავას მიერ დაპროექტებულ ნაგებობას დღეს არქიტექტურული ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული.

ფოტო: ალექსანდრე ბაგრატიონ-დავიდოვი, ტარას მარგატია და ნინო ფალავანდიშვილი.

Frozen Moments: Architecture Speaks Back

Modernism in general: how ideology of buildings in Georgia changed along with their functional changes; modernism in particular: value of Giorgi Chakhava's utopist construction in the context of modern architecture - these issues were covered by Laura Palmer Foundation, Other Space Foundation and GeoAIR project "Frozen Moments: Architecture Speaks Back", organized on July 22-25 in the former Ministry of Highways of Georgian Soviet Socialist Republic. Public discussions, performances and concerts arranged under the project during these three days were centered around two main topics: utopist thinking in architecture and modernism.


Artists, academicians, architects, curators, economists and Tbilisi residents gathered in the former office of Ministry of Highways of Georgian Soviet Socialist Republic and future headquarters of the Bank of Georgia to attend Joanna Varsha's project, which was realized with participation of Vahram Aghasyan, Ei Arakawa, Mari Mukai, Gela Patashuri, Sergei Tcherepnin, Ruben Arevshatyan, Bettine Attala, Daniel Baumann, Alena Boika, Rene Gabri, Daniel Birkenmeyer, George Chakhava (son), Joseph Dabering, Kote Jincharadze, Didier Fiŕza Faustino and Mathieu Herbelin (Bureau des Mŕsarchitectures), Yona Friedman, William Hollister, Zurab Jalaghanian, Nana Kipiani, Eve Khachatryan, Agnieszka Kurant, Vicky Lee and Next Dreamchatter, Accidental Lover Boyz, Nikoloz, Nini Palavandishvili, Lali Pertenava, Richard Reynolds, Georg Schoelhammer, Slavs and Tatars, Sophia Tabatadze, Nienke Terpsma and Rob Hamelink, Fucking Good Art, Vato Tsereteli, Urban Research Laboratory: Gio Sumbadze, Ani Chorgolashvili and Rezo Glonti, Greg Linquist, Tamuna Karumidze, Neli Zedgenidze and Loka Ramishvili, Urban Reactor, Jan Verwoert and Melinda Braathen, Vladimir Volnovik, Alexandra Vasilyovska, Martin Zet and others.

Caucasia interacts in frozen moments. Destruction of communist regime resulted in train stoppages, cableway cars hanging motionless over Tbilisi, real property left over from unrealized future plans had to shelter refugees. Soviet architectural heritage showed the potential for multiple use, creative management, sustainable and self-organized policy rather early, and these traits are still visible in present-day cultural discourse.

Former office of Ministry of Highways of Georgian Soviet Socialist Republic is one of the most unusual constructions in the world. This specimen of "utopie realizable" is a fruit of reality in which Communist future can be combined with organic, multi-layer palimpsest architecture and amateurishly planned environment. This construction was built by the Minister of Highways, architect Giorgi Chakhava in 1975 in cooperation with architect Zurab Jalagania.

According to Nini Palavandishvili, organizer and curator of project "Frozen Moments: Architecture Speaks Back", constructions of this type are very few not only in Georgia and former USSR republics, but in other parts of the world as well. "This building is mentioned alongside with Centre Pompidou, Neue Nationalgalerie, built in Berlin by Mies van der Rohe, Oscar Niemeyer's Brazilian masterpieces - and we do not know that!"

In Georgia this building is attributed to late modernism. In the 1970'ies construction process was suspended by a decree, unexpectedly issued by Moscow authorities, but Nini Palavandishvili says that the architect somehow managed to protect his project and finalize it: "Giorgi Chakhava's idea was an absolute utopia - this building did not match Georgian and Soviet architectural background in any way. Local and central media did not even



consider it worth mentioning. The public did not realize how interesting and innovative the architect's thinking was. Chakhava's main idea was integration with nature; he wished to apply the ideas suggested to architecture by natural conditions, this is why he designed a terraced construction, consisting of transverse segments, occupying minimal amount of space on the ground and horizontally expanding in the air. Considering this, Chakhava's way of thinking was highly futuristic and, in a way, utopist - how far can one go this way, how tall such a construction can be?"

The three-day event, attended by Caucasian and world artists, architects, curators, academicians and the general public, included highly diverse and interesting research and fun sessions, focused on this heterothematic location. The program comprised discussions, master classes, artists' and architects' interventions, concerts, excursions and rooftop evening parties.

Special excursions were organized for artists, musicians, researchers, critics and architects, taking part in the project: they visited several non-functioning, "frozen" constructions around Tbilisi and a dump in Gldani - the place where city dump was transferred in 1970'ies from the site currently occupied by Ministry of Highways office.

doors and animate public spaces." However, the idea of organizing the exhibition in the former Ministry office belongs to Polish curator Joanna Varsha, who arranged "Project Bethlehem" - series of exhibitions and performances in historical districts of Tbilisi - last year. On this occasion, the Polish party contributed to the project both from organizational and financial point of view.

For three days in July, the fantastic former Ministry of Highways office transformed into horizontal cooperation diagram, in which one single action was capable of changing the whole project. This was the only opportunity to open the building to the public before its overhaul as Bank of Georgia headquarters.

Initiative group in charge of the project:

Vahram Aghasyan, Daniel Birkenmeyer, Vitec Hebanovski, Eve Khachatryan, Nini Palavandishvili and Joanna Varsha.

Public talks curator: Eve Khachatryan

Designer: Kasha Korzac


Producers and coordinators: Vitec Hebanovski, Julia Misala, Gela Patashuri and Lali Pertnava

Producers: the Other Space Foundation and Laura Palmer Foundation Warsaw

Partners: GeoAIR (Georgia), AICA (Armenia), Real Property Economy and Project Management Institute (Biberach, Germany)

Sponsors: Ministry of Culture and National Heritage of Poland (MKiDN) and City of Warsaw in cooperation with City of Tbilisi, TransCaucasia Festival and European Union Cultural Support Program


Main sponsor: Bank of Georgia



Former Ministry office was not just the host, but also the principal actor of the project. It acted as a text under consideration, which has a potential of generating and developing new texts on its own. Artists and researchers based their performances and reports on the history, location and natural environment of Giorgi Chakhava's work.

The starting point was the poetry of frozen images, the usual potential of past and future meanings: added benefits of modernist heritage, the city moving and promenading, intermezzo concepts, "Back to the Future" course and a lot more.

According to Nino Palavandishvili, "GeoAIR does not focus exclusively on housing museums and galleries in institutional constructions. We would like to revive more constructions, to move out-



At the time being, former Ministry of Highways office is owned by the Bank of Georgia. After the end of repair works, this building will house headquarters of the bank. This construction, designed by Giorgi Chakhava, has been attributed the status of architectural monument.

Photos by: Alexander Bagration-Davidoff, Taras Mirgatia and Nini Palavandishvili




არქიტექტურის ინსტიტუტის ივლისის ქრონიკა

